სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 46

2012 წლის 30 აგვისტო

ქ. თბილისი

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2012 წლის კონკურსის გამოცხადების, პროგრამა და პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 16 ივლისის N140/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2012 წლის 30 აგვისტოს კონკურსი - „სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“;
2. პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2012 წლის 14 ოქტომბრის 24 სთ-მდე; კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფონდში წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2012 წლის 17 ოქტომბერი, 18:00 საათი;
3. დამტკიცდეს სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი - ”კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით” 2012 წლის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;

შემსრულებელი:
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი _____

შეთანხმებულია:

ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ბუთლიაშვილი _____

სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის
უფროსი ირაკლი ნოსელიძე ----------

მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი
მირიან ბიჭიკაშვილი ----------

ფინანსური და მატერიალური დეპარტამენტის
მთავარი სპეციალისტი ეკატერინე ჯავახიშვილი ----------

4. დამტკიცდეს „სახელმწიფო გრანტების კონკურსი "კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" 2012 წლის კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

5. დამტკიცდეს „სახელმწიფო გრანტების კონკურსი "კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" 2012 წლის კონკურსის „კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ" ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს „სახელმწიფო გრანტების კონკურსი "კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" 2012 წლის კონკურსის „პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი"-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

7. დამტკიცდეს „სახელმწიფო გრანტების კონკურსი "კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" 2012 წლის კონკურსის „საპროექტო წინადადების" ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

8. დამტკიცდეს „სახელმწიფო გრანტების კონკურსი "კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" 2012 წლის კონკურსის „პროექტის ბიუჯეტი"-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

9. დამტკიცდეს „სახელმწიფო გრანტების კონკურსი "კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" 2012 წლის კონკურსის მონაწილეთა „პროფესიული ბიოგრაფიის" ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

10. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გაცნობისთვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

4. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური

გენერალური დირექტორი

დანართი №1

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს № 46 ბრძანებით

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი - "კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით"2012 წლის პროგრამა და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს მეცნიერთა და სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით ერთობლივი სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად გრანტის გაცემის, კონკურსის გამართვისა და საგრანტო პროექტების (შემდგომში - პროექტი) განხორციელების მონიტორინგის წესს.
2. სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - "კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" (შემდგომში - კონკურსი) მიზანია მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლება, განათლებისა და კვლევების დაახლოება; კვლევების პოპულარიზაციის გზით სკოლის მოსწავლეთა დაინტერესება მეცნიერებით; მოსწავლეთა შორის კვლევითი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა; პედაგოგთა მოტივაციის ამაღლება მოსწავლეთა კვლევებში ჩასართავად; მეცნიერთა, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერთა, ინტერესის გაზრდა სასკოლო პროცესში მონაწილეობისათვის; სასწავლო პროცესში ისეთი სიახლეების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას.
3. კონკურსის ამოცანაა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მიერ ღია და გამჭვირვალე კონკურენტულ გარემოში შეირჩეს და დაფინანსდეს ისეთი პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს მეცნიერის ხელმძღვანელობით სკოლის მოსწავლეთა მიერ კვლევის განხორციელებას.

მუხლი 2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსს ადმინისტრირებას უწევს ფონდი.
2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) კონკურსის ჩატარების წესისა და პროექტების რეგისტრაციის ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, პროექტების რეგისტრაციისათვის ელექტრონული ბაზის მომზადებასა

და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმების დამტკიცებას;

გ) პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;

დ) დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების საბჭოს მიერ დამტკიცებას;

ე) გამარჯვებული პროექტების დაფინანსებასა და მათი შესრულების მონიტორინგს დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ფონდში საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა უნდა მოხდეს ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით დადგენილი წესითა და ვადების დაცვით. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.

4. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 3. სუბიექტები

1. კონკურსში პროექტი ერთობლივად შემოაქვთ ლიდერთა ჯგუფს და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას-სკოლას/სკოლებს.

2. პროექტის შემომტანთა შორის საჯარო სკოლასთან ერთად შესაძლებელია იყოს კერძო სკოლაც, რაც შესაძლებლობას აძლევს მას კვლევაში ჩართოს მისი მოსწავლეები. ამასთანავე, პროექტში მონაწილე კერძო სკოლა ვერ იქნება გრანტის მიმღები და ვერ მიიღებს მონაწილეობას როგორც გრანტის თანხების ასევე მის ფარგლებში შეძენილი ქონების განაწილებაში;

3. ლიდერთა ჯგუფი შედგება: მეცნიერ-ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის და, საჭიროების შემთხვევაში, ასისტენტისაგან.

4. გრანტის მიმღები შესაძლებელია იყოს მეცნიერ-ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი და საჯარო სკოლა/სკოლები ერთობლივად.

5. მეცნიერ-ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

6. თანახელმძღვანელი უნდა იყოს ამ დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კლასების მოსწავლეებთან მომუშავე მოქმედი მასწავლებელი.

7. პროექტში შეიძლება მონაწილეობდეს ასისტენტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი ან პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირი, რომელიც ეხმარება მეცნიერ-ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს პროექტის განხორციელებაში.

8. მეცნიერ-ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ჩართულობა პროექტში აუცილებელია. ასისტენტის ჩართულობა პროექტში სავალდებულო არაა.

9. მეცნიერ-ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს კონკურსის ფარგლებში აქვთ მხოლოდ ერთ დაფინანსებულ/დასაფინანსებელ პროექტში მონაწილეობის უფლება.

10. პროექტის წინამდებარე კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია პროექტის მეცნიერ-ხელმძღვანელი.

11. კვლევის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც საჯარო სკოლის ბაზა (ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის ბაზა, რაზედაც საჭიროა წინასწარი წერილობითი თანხმობა (თუ იგი არ არის განმცხადებელი) ბაზის მესაკუთრე იურიდიული/ფიზიკური პირის მხრიდან.

მუხლი 4. საკონკურსო პირობები

1.საკონკურსო განაცხადები მიიღება პროექტის სახით;

2.კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტები უნდა ითვალისწინებდეს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით კონკრეტული სამეცნიერო საკითხის/პრობლემის კვლევას; კვლევაში ჩართული მოსწავლეები შესაძლებელია სწავლობდნენ VIII, IX, X, XI ან/და XII კლასებში;

3.პროექტში დაგეგმილი კვლევის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, სასკოლო არდადეგების გამოკლებით;

4.კონკურსი მოიცავს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს:

ა) მათემატიკა, ინფორმატიკა

ბ) ფიზიკა

გ) ქიმია

დ) სიცოცხლის შემწავლელი მეცნიერებები

ე) დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, ეკოლოგია;

5.პროექტის განხორციელებამ ხელი არ უნდა შეუშალოს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს;

6.პროექტში მიეთითება კვლევაში მონაწილე მოსწავლეთა სავარაუდო კონტინგენტი და რაოდენობა.

7.საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ბიუჯეტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 6 000 ლარს.

8. პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონება რჩება პროექტში მონაწილე საჯარო სკოლას, იმ შემთხვევაში თუ პროექტი არ სრულდება საჯარო სკოლის ბაზაზე, პროექტით შეძენილი ქონება გადაეცემა იმ საჯარო სკოლას, რომლის მოსწავლეებიც იღებდნენ მონაწილეობას პროექტის განხორციელებაში. პროექტში რამდენიმე საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობის შემთხვევაში, ქონების განაწილება უნდა განხორციელდეს წინასწარი შეთანხმების გზით.

9. **პროექტის განხორციელება უნდა დაიწყოს არა უგვიანეს 2012 წლის 1 დეკემბრისა.**

მუხლი 5. პროექტის ბიუჯეტი

1. პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს როგორც ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, ასევე არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებს:

ა) მეცნიერ-ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის საგრანტო დაფინანსება - რაც გულისხმობს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღნიშნული სუბიექტების საგრანტო დაფინანსებას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს, პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 40%-ს.

ბ) საქონელი და მომსახურება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით გათვალისწინებული ხარჯები. აღნიშნული მუხლი არ უნდა ითვალისწინებდეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების და მივლინების ხარჯებს.

გ) არაფინანასური აქტივები - აღნიშნული კატეგორია გულისხმობს, ძირითადი აქტივის შეძენის ხარჯს, რომელთა საექსპლოატაციო ვადა აღემატება ერთ წელს, მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება მომსახურების პროცესში და ერთეულის ღირებულება შეადგენს 500 ლარს და მეტს და და „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით გათვალისწინებულ არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრულ ოპერაციების გაწევას.

დ) ზედნადები ხარჯი - პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საჯარო სკოლისათვის

განკუთვნილი თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს, პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 10%. პროექტში რამდენიმე საჯარო სკოლის მონაწილეობის შემთხვევაში შესაძლებელია ზედნადები ხარჯის განაწილება წინასწარ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

2. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა;

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა გადაერიცხებათ მეცნიერ-ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს პირად ანგარიშზე, ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული თანხა საჯარო სკოლას/სკოლებს, წინასწარ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, გრანტისათვის გახსნილ მიმდინარე/მიზნობრივ ანგარიშზე;

4. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ბაზის გამოყენება უნდა განხორციელდეს უსასყიდლოდ.

მუხლი 6. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების რეგისტრაცია;

გ) წინასწარი ტექნიკური ექსპერტიზა-შემოსული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

დ) პროექტების შეფასება დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ (შეფასების I საფეხური);

ე) ფონდის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისიის წინაშე იმ პროექტების მოკლე პრეზენტაციების გამართვა, რომელთაც გადალახეს შეფასების პირველი საფეხური (შეფასების II საფეხური);

ვ) დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება ფონდის სამეცნიერო
საბჭოს მიერ;

ზ) კონკურსში გამარჯვებულებთან (პროექტის მეცნიერ-ხელმძღვანელთან, თანახელმძღვანელთან და საჯარო სკოლასთან/სკოლებთან) ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. საკონკურსოდ წარდგენილ საგრანტო პროექტებს ფონდში უტარდება წინასწარი ტექნიკური ექსპერტიზა, რომლის დროსაც მოწმდება საგრანტო პროექტის შესაბამისობა ფონდის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან.

2. კონკურსი ითვალისწინებს შეფასების ორ საფეხურს;

3. წინასწარი ტექნიკური ექსპერტიზის შემდეგ საგრანტო პროექტები გაივლის შეფასების პირველ საფეხურს;

4. შეფასების პირველ საფეხურზე საგრანტო პროექტის აქტუალურობასა და სამეცნიერო დონეს, დასახული მიზნების მიღწევადობასა და მოსალოდნელი შედეგების ღირებულებას ამ დებულებით დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით აფასებს ორი დამოუკიდებელი ექსპერტი. თითოეული ექსპერტი საგრანტო პროექტს აფასებს მაქსიმუმ 100 ქულით. საგრანტო პროექტის შეფასება გამოიანგარიშება საშუალო არითმეტიკულის წესით. საგრანტო პროექტი, რომელიც მიიღებს 86 ქულას ან მეტს, გადადის შეფასების მეორე საფეხურზე;

5. შეფასების მეორე საფეხურზე გასული კონკურსანტები პროექტების მოკლე პრეზენტაციით წარდგებიან ფონდის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისიის წინაშე.
6. საკონკურსო კომისია მოისმენს პრეზენტაციებს, იმსჯელებს პროექტების აქტუალურობაზე, კონკურსის მიზნებთან შესაბამისობაზე და კითხვა-პასუხის პროცესში მიღებული დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე გამოავლენს დასაფინანსებელ პროექტებს;
7. ფონდის სამეცნიერო საბჭო ამტკიცებს გამარჯვებულ საგრანტო პროექტებს.

მუხლი 8. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია ექსპერტი, საკონკურსო კომისიის და სამეცნიერო საბჭოს წევრი იყოს ამავე კონკურსის მონაწილე;
2. არ შეიძლება პროექტების დამტკიცების პროცესში მონაწილეობდეს სამეცნიერო საბჭოს ის წევრი ან იყოს ექსპერტი ის პირი ან საკონკურსო კომისიის წევრი:
   ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია პროექტის მონაწილეებთან ან მონაწილეობდა მათთან ერთსა და იმავე სამეცნიერო–კვლევით პროექტში ან მუშაობს ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, დეპარტამენტი);
   ბ) რომელმაც შესაძლოა მიიღოს უშუალო პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;
   გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;
   დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან.
3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:
   ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
   ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
   გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
   დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.
4. სამეცნიერო საბჭოს წევრი და ექსპერტი ვალდებულია სამეცნიერო საბჭოს/ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.
5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს ექსპერტის წევრის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით.

მუხლი 9. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას გამარჯვებული პროექტის მეცნიერ-ხელმძღვანელთან, თანახელმძღვანელთან და საჯარო სკოლასთან/სკოლებთან;

2. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გრანტის მიმღებს მთლიანად ჩაერიცხება საგრანტო დაფინანსება, მეცნიერ-ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის საგრანტო დაფინანსების 10% გარდა, რომლის ჩარიცხვაც განხორციელდება გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის შემდეგ.

მუხლი 10. საგრანტო პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რაც ითვალისწინებს პროექტის შესრულების ფინანსურ და პროგრამულ კონტროლს.
2. დაფინანსებული პროექტის მეცნიერ-ხელმძღვანელი ვალდებულია ფონდს ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში წარუდგინოს ანგარიში, რომელიც შეიცავს პროექტის შესრულების პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშს და რომლის ფორმებს განსაზღვრავს ფონდი.
3. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბიუჯეტთან.
4. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას.
5. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:
ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება - საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;
ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება - საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ ანგარიშზე დაბრუნებას;
გ) გადახარჯვად ჩაითვლება - საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით, იმ შემთხვევაში თუ გადახარჯულ მუხლში მომავალი ტრანშით ჩასარიცხი თანხა აღემატება ან ტოლია სხვა მუხლიდან გადახარჯული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის გამოყენებულ რესურსის; გადახარჯვა არ ჩაითვლება ხარვეზად და არ წარმოადგენს პროექტის შეჩერების საფუძველს;
5. პროექტის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.
6. საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონება გადაეცემა ფონდს საკუთრებაში.
7. საგრანტო პროექტი ჩაითვლება დასრულებულად თუ საგრანტო პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ტრანშზე, პროექტის დახურვის მომენტში წარმოდგენილია ანგარიში და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

მუხლი 11. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტს ფონდის ელექტრონულ ბაზაში არეგისტრირებს პროექტის ხელმძღვანელი. პროექტის რეგისტრაცია ხდება ფონდის ვებგვერდიდან: **www.rustaveli.org.ge** . იქვეა განთავსებული რეგისტრაციის ინსტრუქცია.

2. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის ბოლო საფეხურია პროექტის საბოლოო წარდგენა (იხ. რეგისტრაციის ინსტრუქცია). პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ პროექტის ატვირთული ვარიანტის რედაქტირება შეუძლებელი იქნება.

3. პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ ელექტრონული ბაზა დააგენერირებს განცხადებას "2012 წლის სახელმწიფო გრანტების კონკურსი -კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით."

4. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ უნდა ამოიბეჭდოს და ხელმოწერით და ბეჭდით დადასტურებული წარდგენილი უნდა იქნას ფონდის კანცელარიაში.

5.კონკურსში მონაწილეობისთვის ფონდში წარმოდგენილი უნდა იქნას:

ა) საპროექტო წინადადება, რომელიც უნდა შეიცავდეს საკითხებს: კონკრეტულ კვლევით ამოცანას, მის გადასაჭრელად ჩამოყალიბებულ სამოქმედო გეგმას, კვლევის მეთოდიკას, პროექტის შემსრულებელთა(კვლევითი ჯგუფი) ჯგუფის შერჩევის პრინციპს, დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო შესაძენი ტექნიკის/აპარატურის ჩამონათვალს, მოსალოდნელი შედეგების აღწერას;(ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე)

ბ) საგრანტო პროექტის ბიუჯეტი (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

გ)კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

დ)პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ე) პროექტის ანოტაცია (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ვ)პროფესიულ ბიოგრაფია (CV) (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ზ)თანხმობის წერილი, სადაც დადასტურებულ უნდა იქნეს ორგანიზაციის მზადყოფნა (როგორც საჯარო სკოლის, ასევე სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის), რომ პროექტის ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი გახადოს საკუთარი ინფრასტრუქტურა (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიული, კომპიუტერული ბაზა, საკონფერენციო დარბაზი, და ა.შ.),(უნდა აიტვირთოს დასკანერებული სახით ფონდის ვებგვერდზე);

თ) მეცნიერ ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის, ასისტენტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პირადობის მოწმობა, პასპორტის პირველი გვერდი) (უნდა აიტვირთოს დასკანერებული სახით ფონდის ვებგვერდზე);

ი) მეცნიერ ხელმძღვანელის დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის, დამადასტურებელი დოკუმენტი; (უნდა აიტვირთოს დასკანერებული სახით ფონდის ვებგვერდზე);

კ)მეცნიერ-ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის და ასისტენტის (ასეთი პოზიციის არსებობის შემთხვევაში) ცნობა სამუშაო/სასწავლო ადგილიდან (უნდა აიტვირთოს დასკანერებული სახით ფონდის ვებგვერდზე);

ლ)მასწავლებლის ცნობა სამუშაო ადგილიდან (პირადობის მოწმობა, პასპორტის პირველი გვერდი) (უნდა აიტვირთოს დასკანერებული სახით ფონდის ვებგვერდზე);

6. პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2012 წლის 14 ოქტომბრის 24 საათამდე. ელექტრონულად დარეგისტრირებული პროექტებისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით

გათვალისწინებული დოკუმენტი ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2012 წლის 17 ოქტომბრის 18 საათისა.
7. ვადის დარღვევის ან/და არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში პროექტი მოიხსნება კონკურსიდან.
8. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.
9. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 12. შეფასების კრიტერიუმები

2012 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის - "კვლევები სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით"

	კრიტერიუმი	სუსტი	საშუალო	კარგი	კომენტარი
1)	რამდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული პროექტის მიზანი	0-5	6-8	9-10	
2)	რამდენად ეფექტიანი პროექტის მიზნის მიღწევის მექანიზმები	0-7	8-12	13-15	
3)	რამდენად რეალისტურია პროექტში დასახული მიზნის მიღწევა ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის, პრობლემის სირთულის გათვალისწინებით	0-7	8-12	13-15	
4)	რამდენად გააღრმავებს პროექტის განხორციელება მოსწავლეებში სამეცნიერო კვლევებისადმი ინტერესს	0-12	13-20	21-25	
5)	რამდენად სრულყოფილია პროექტის მენეჯმენტი;	0-7	8-12	13-15	
6)	რამდენად მდგრადი იქნება პროექტის მოსალოდნელი შედეგები	1-10	11-16	17-20	

დანართი №2

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტო
№ 46 ბრძანებით

ეს განცხადება ავტომატურად შეივსება ფონდის ვებ-გვერდზე კონკურსანტების მიერ ელექტრონულ ბაზაში პროექტის რეგისტრაციის დასრულების შემდეგ!

2012 წლის სახელმწიფო გრანტების კონკურსი "კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით"

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით 2012 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსს "კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით"
გრანტების გაცემის წესისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებას და ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას კონკურსის პირობებზე. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვაცნობიერებ, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან. გთხოვთ, დაარეგისტრიროთ პროექტი სახელმწიფო გრანტების კონკურსში "კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით."

1. პროექტის შიფრი: SC / / /12
2. პროექტის სახელწოდება: _____
3. პროექტის ბიუჯეტი (ლარი): _____

პროექტის წარმომდგენი ფიზიკურ პირთა ჯგუფი	ხელმოწერა (სახელი გვარი)
მეცნიერ- ხელმძღვანელი	
თანახელმძღვანელი	

ასისტენტი	

მომდევნო გრაფა ივსება პროექტში მონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ

ორგანიზაციის სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	საიდენტიფიკაცო კოდი	ხელმძღვანელი პირის სახელი გვარი

თანახმა ვარ პროექტი განხორციელდეს მითითებულ ორგანიზაციის ბაზაზე.

ხელმოწერა:

ბეჭედი:

თარიღი _____
დღე/თვე/წელი

დანართი №3

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტო

№ 46 ბრძანებით

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ

1. პროექტის

დასახელება: _____

2. პროექტის ბიუჯეტი (ლარი): _____
_____

ციფრებით სიტყვიერად

3. პროექტის ხანგრძლივობა: _____ თვე

4. რომელ მიმართულებაშია წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნეთ):

1. მათემატიკა, ინფორმატიკა
2. ფიზიკა
3. ქიმია
4. სიცოცხლის შემწავლელი მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, ეკოლოგია

1. პროექტის მეცნიერ-ხელმძღვანელი

სახელი	
გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	*რიცხვი* *თვე* *წელი*
თანამდებობა/საქმიანობა	
სამეცნიერო (აკადემიური) ხარისხი	
სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია	
საკონტაქტო ინფორმაცია:	
ქალაქი	
მისამართი (ქუჩა; სახლი; ბინა)	
ტელეფონი	

მობილური		სამსახური		სახლი	
ფაქსი		ელ.ფოსტა			
ანაზღაურება პროექტში (ლარი)					

2. პროექტში მონაწილე თანახელმძღვანელი

სახელი	
გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	*რიცხვი* *თვე* *წელი*

თანამდებობა/საქმიანობა	
სამეცნიერო (აკადემიური) ხარისხი	
სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია	
საკონტაქტო ინფორმაცია:	
ქალაქი	
მისამართი (ქუჩა; სახლი; ბინა)	

ტელეფონი					
მობილური		სამსახური		სახლი	
ფაქსი		ელ.ფოსტა			
ანაზღაურება პროექტში (ლარი)					

3. პროექტში მონაწილე ასისტენტი

სახელი											
გვარი											
პირადი ნომერი											
დაბადების თარიღი	*რიცხვი*				*თვე*			*წელი*			
თანამდებობა/საქმიანობა											
სამეცნიერო (აკადემიური) ხარისხი											
მუშაობის/სწავლის ადგილი											
საკონტაქტო ინფორმაცია:											
ქალაქი											
მისამართი (ქუჩა; სახლი; ბინა)											

ტელეფონი					
მობილური		სამსახური		სახლი	
ფაქსი		ელ.ფოსტა			

1. პროექტში მონაწილე მოსწავლეები (სავარაუდო შემადგენლობა)

სახელი	
გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	*რიცხვი* *თვე* *წელი*
სკოლა	
კლასი	

ივსება თითოეულ მოსწავლეზე ცალ-ცალკე

5. პროექტში მონაწილე ორგანიზაცია

სახელწოდება	
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა	
საიდენტიფიკაციო კოდი	
ორგანიზაციის ხელმძღვანელი	

სახელი					
გვარი					
საკონტაქტო ინფორმაცია:					
ქალაქი					
იურიდიული მისამართი (ქუჩა; სახლი; ბინა)					
ტელეფონი		ვებ-გვერდი		ფაქსი	
ფაქსი		ელ.ფოსტა			

<u>დანართი №4</u>

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტო
№ 46 ბრძანებით

<u>პროექტის განხორციელების გეგმა-ბრაფიკი</u>

გთხოვთ, გრაფიკულად გამოსახოთ პროექტის განხორციელების გეგმა თქვენი პროექტის ამოცანებიდან გამომდინარე (ქვემოთ მოცემულია მხოლოდ ნიმუში, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩაუმატეთ ან ამოიღეთ შესაბამისი პუნქტები. საკალდებულოა მხოლოდ ფონდში ანგარიშების წარდგენის პერიოდულობის დაცვა)

№	საქმიანობა	*1 თვე*				*2 თვე*				*3 თვე*			
		I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა
1	*საკვლევი მასალების მომზადება*												
2	*კაპიტალური და სხვა შენაძენების განხორციელება*												
3	*კვლევის ჩატარება*												
4	*საველე გასვლა, ექსპედიცია და სხვა*												
5	*კვლევის შედეგების მიღწევა/საბოლოო დამუშავება*												
6	*შადემონსტრაციო დღის ჩატარება*												
7	*ანგარიშის წარდგენა ფონდში*												

<u>დანართი №5</u>

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტო

№ 46 ბრძანებით

საპროექტო წინადადება

პროექტის შიფრი SC /---/--/12

პროექტის დასახელება

კვლევის ქვემიმართულება/ქვემიმართულებები

1. კვლევის სიახლე, მიზანი და ამოცანები

1.1 პროექტის აქტუალურობისა და უნიკალურობის დასაბუთება

(პროექტის აქტუალურობა და უნიკალობა; მიზნები; პრობლემის დასმისა და მათი გადაჭრის გზები; პრინციპი, რომლის მიხედვითაც შეირჩა პროექტში მონაწილე მოსწავლე- მკვლევარები/პროექტის შემსრულებელთა გუნდი მოსწავლეების პროექტში ჩართულობის აღწერა; წარსული გამოცდილების მიმოხილვა)

1.2კვლევის ობიექტი და ამოცანები

(აღწერეთ: კვლევის ობიექტი; კვლევის სტრატეგია; პროექტის განხორციელების ეტაპები და შესასრულებელი ამოცანები)

ამოცანების შესრულების სავარაუდო გეგმა-გრაფიკი

ამოცანები/თვეები	1	2	3
ამოცანა #1			
ამოცანა #2			

საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონები.

2 კვლევის მეთოდიკა და მოსალოდნელი შედეგები

2.1 კვლევის მეთოდიკის შესაბამისობა პროექტის ამოცანებთან

(აღწერეთ: პროექტში დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად საჭირო მეთოდები და საშუალებები/გზები, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები, მათ შორის საველე გასვლები, სამუშაო შეხვედრები, პრეზენტაცია და სხვ.)

2.2 კვლევის მოსალოდნელი შედეგები

(აღწერეთ პროექტის სამომავლო განვითარების გეგმა და პროექტის მდგრადობა მისი დასრულების შემდეგ.)

პროექტის საანგარიშო პერიოდებში ჩატარებული სამუშაოს მოსალოდნელი შედეგები/თვლადი ინდიკატორები ეტაპების მიხედვით

I პერიოდი (1 თვე)		II პერიოდი (მე 2 თვე)		III პერიოდი (მე 3 თვე)	
N	შედეგები/ თვლადი ინდიკატორების ჩამონათვალი	N	შედეგები/ თვლადი ინდიკატორების ჩამონათვალი		
1		1			
2		2			
3		3			

დანართი №6

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტო

№ 46 ბრძანებით

პროექტის ბიუჯეტი		
№	ხარჯვის კატეგორია	თანხა ლარებში
1	მეცნიერ ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის საგრანტო დაფინანსება	-
1,1	მ.შ. მეცნიერ ხელმძღვანელი	-
		-
1.2	მ.შ. თანახელმძღვანელი	-
		-
		-
2	საქონელი და მომსახურება	-
		-
		-
3	არაფინანსური აქტივები	-
		-
		-
4	ზედნადები ხარჯები	-
		-
	სულ	-

დანართი №7

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტო
№ 46 ბრძანებით

პერსონალური მონაცემები

სახელი, გვარი

სქესი:

მოქალაქეობა:

ელფოსტა:

პირადი ნომერი (11 ნიშნა):

დაბადების თარიღი:

მისამართი:

ტელეფონი:

ვებ-გვერდი:

პროფესიული მოღვაწეობა

სამეცნიერო / აკადემიური ხარისხი:

სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია:

თანამდებობა (ქართულად):

განათლება

N	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი	წლები

სამუშაო გამოცდილება

N	ორგანიზაციის დასახელება	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	წლები

პუბლიკაციები

რაოდენობა:

პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან / მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, მონოგრაფიები:

N	ავტორ(ებ)ი	პუბლიკაციის სათაური	ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი.	წელი

პატენტები (გამოგონებები)

N	პატენტის დასახელება	პატენტის გამცემი ორგანიზაცია	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი	პატენტის გაცემის წელი

სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

N	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის დასახელება	როლი პროექტში	წლები

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

N	ღონისძიების დასახელება	მოხსენების სათაური	ღონისძიების ჩატარების ადგილი	წელი